MES 3 23 0001566807

17/11/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;

მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;

ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმ ომადგენლები:

ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ცირა კეჟერაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
სსიპ- ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა
ბიძინა ტაბაღუა- დირექტორი
სსიპ- ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლა
ირაკილი კუპატაძე- დირექტორი
სსიპ- როსტომ აბრამიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სარეკის საჯარო სკოლა
ლალი აბჟანდაძე-დირექტორი
სსიპ- ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლა
ლიანა ფუტკარაძე- დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ- ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლა
ემზარ პაპიძე- დირექტორი
სსიპ- პროფესორ ავთანდილ პოპიაშვილის სახელობის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლა
ნინო სულიაშვილი- დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ- გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლა
ჯუმბერ ტერუნაშვილი- დირექტორი
სსიპ- ქალაქ ჭიათურის N1 საჯარო სკოლა
გოჩა შუბითიძე- დირექტორი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტე ბი):

სსიპ - ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა
ნონა ჩუბინიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ნინო თაბაგარი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ნანა შამუგია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ანი მეხუზლა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ინგა ჯაფარიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ინგა ხრიკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
გიორგი ტაბუცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
ხათუნა ქერაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინელი ცერცვაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სსიპ - ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლა
თამარ ხატიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
მარიკა კირვალიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ირმა ავალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მაკა ინაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ხათუნა ფანცულაია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

გიორგი ბერძულიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ეკატერინე ხუცოშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- როსტომ აბრამიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სარეკის საჯარო სკოლა

ნინო ელბაქიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ნინო შიუკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
თეა მელქაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო მიმინოშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თამთა კამკამიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო ზირაქაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თეა ხუროშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თეონა შერაზადიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

სსიპ - ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლა

მანანა ალიბეგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ნათია ფხალაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ეკატერინე ვეკუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნანა კასრაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო მოლაშხია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარიკა ბოცვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ანა ობოლაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლალი აბულაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია კურტანიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლა

თინათინ ალავიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ეთერ მეტრეველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ნათია დარსაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თამილა თამაზაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარინა თავართქილაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნანა ყანჩაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ილონა აკობია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნატო ხაჭაპურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- პროფესორ ავთანდილ პოპიაშვილის სახელობის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლა

პაატა ჩორგოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ნატო ოგანეზოვი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
მარინე რეხვიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია გაგნიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თეა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნონა გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლა

ლია ჯალაღონია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
თამთა კვარაცხელია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ეკატერინე გურგენაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
შორენა გაგნიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თამარ ჩალახეშაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თამარი დეკანოსიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვერა გუდაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ილონა აკობია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ირმა შველიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ჭიათურის N1 საჯარო სკოლა

ცირა ნიკოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
თამარ მშვიდობაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
მზევინარი დარბაისელი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ბესიკი ბერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თეონა ჯაფარიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
გიორგი ტაბუცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მაკა ინაშვილი(სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნატო გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო კოვზიაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია.
საბჭოს სხდომა 2023 წლის 30 ოქტომბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 2023 წლის 03 ნოემბერს, 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ-ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ- როსტომ აბრამიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სარეკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ-ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ-პროფესორ ავთანდილ პოპიაშვილის სახელობის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ქალაქ ჭიათურის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით სსიპ - ქ. ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვის პირველ საკითხად გადატანასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის საჭიროებების გათვალისწინებით. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა და საბჭოს დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. სსიპ - ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ-ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ- როსტომ აბრამიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სარეკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ-ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ-პროფესორ ავთანდილ პოპიაშვილის სახელობის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ქალაქ ჭიათურის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. **სსიპ - ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნონა ჩუბინიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 და 26 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა სენაკში, რუსთაველის ქ. 68-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 300 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის.
ნონა ჩუბინიძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასებები შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 1.2 შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისად“; მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. მეოთხე სტანდარტი შეფასდა „შესაბამისობით“, თუმცა კომპონენტი 4.2 ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას უნდა უზრუნველყო ენისა და მეტყველების სპეციალისტის,

ფსიქოლოგისა და ოკუპაციური თერაპევტის მოძიება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში. ექსპერტის განმარტებით, მეორე სტანდარტი შეფასებული იყო როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა, ნონა ჩუბინიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, მიმართა ექსპერტებს და სთხოვა აეხსნათ რითი იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ სკოლამ საჭირო დოკუმენტაციის მოპოვება და ხარვეზების გამოსწორება ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ დაიწყო.
ექსპერტმა, ნონა ჩუბინიძემ განაცხადა, რომ სკოლას გარკვეული დრო დასჭირდა გაცნობოდა ავტორიზაციისთვის საჭირო დოკუმენტაციას და მათ მესამე სტანდარტით, კერძოდ 3.4 კომპონენტით განსაზღვრული დოკუმენტაციის მოპოვების პროცესი დაიწყეს 19 სექტემბერს, ექსპერტთა ვიზიტამდე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა სწრაფად და ადეკვატურად რეაგირებდა ადგილზე გაცემულ რეკომენდაციებზე და დროულად ხდებოდა ხარვეზების გამოსწორება.
საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, 7 წლიან სტრატეგიული და ერთ წლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და დამტკიცების პროცესზე მეტი ყურადღება გაემახვილებინათ.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს სტრატეგიულ გეგმაში ასახულ ჩანაწერთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნული იყო, რომ სკოლის წლიური ბალანსის შემოწმებას ახორციელებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტი. საბჭოს წევრი დაინტერესდა ჰქონდა თუ არა აქამდე სკოლას აღნიშნული გამოცდილება.
სკოლის დირექტორმა ბიძინა ტაბაღუამ აღნიშნა, რომ აქამდე სკოლას არ ჰქონდა მსგავსი გამოცდილება, თუმცა სამომავლოდ საჭიროების შემთხვევაში გეგმავდნენ განხორციელებას
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
სკოლის დირექტორმა, ბიძინა ტაბაღუამ განაცხადა, რომ სკოლამ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 300 ის ნაცვლად-400-ით.
ექსპერტთა ჯგუფმა და საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, მან არ მიიჩნია მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება. ასევე მისი განმარტებით, სკოლა ვერ აკმაყოფილებდა პირველ და მეორე სტანდარტს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლას (ს/კ: 239885095) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სენაკი, რუსთაველის ქ. 68
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სენაკი, რუსთაველის ქ. 68
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	სსენაკი, რუსთაველის ქ. 68

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია); მეორე სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

2. სსიპ - ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა ქეთევან ნატროშვილმა განაცხადა თვითაცილების შესახებ აღნიშნული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვაში მონაწილეობასთან დაკავშირებით, ვინაიდან იგი თანამშრომლობდა აღნიშნულ სკოლასთან და გააჩნდა ინტერესთა კონფლიქტი, საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს ზემოაღნიშნული.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ ხატიაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომსსიპ-ქალაქ თბილისის N175 საჯაროსკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 და 26 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა თბილისში, მუხიანის დასახლება მე-3 მ/რ-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 2634 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 2634 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, თამარ ხატიაშვილმა, აღნიშნა რომ სკოლა განთავსებული იყო ორ სასწავლო კორპუსში. პირველი კორპუსი განკუთვნილი იყო დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის, სადაც იყო ახლად გარემონტებული საკლასო ოთახები. მეორე კორპუსში განთავსებული იყო საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა საკლასო ოთახები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი. სკოლას ჰქონდა კეთილმოწყობილი ეზო და ღია კალათბურთის, ფეხბურთის მოედნები. ექსპერტმა, თამარ ხატიაშვილმა, ყურადღება გაამახვილა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არ ირეკებოდა ზარი. ექსპერტის განმარტებით, სკოლაში იყო განსხვავებული საგაკვეთილო დრო თითოეული კლასისთვის და ზარის დარეკვით მინიშნება დამაბნეველი იქნებოდა. მეორე მხრივ, სკოლაში ზარის არ არსებობა უვითარებდათ მოსწავლეებს და მასწავლებლებს დროის მართვას, კოორდინირებული მოქმედებისა და გადაადგილების, თვითრეგულაციისა და ორგანიზებულობის უნარებს. ექსპერტის განცხადებით, საკლასო ოთახების უმრავლესობა აღჭურვილი იყო პროექტორებით. სკოლას ჰქონდა წარმატებები, როგორც ციფრული ტექნოლოგიების, ისე მეწარმეობის სწავლების მიმართულებით. სკოლა ჩართული იყო სხვადასხვა პროგრამასა და პროექტში და იყო არაერთი საერთაშორისო პროექტის გამარჯვებული. მაგალითად, სკოლა ამაყობდა, რომ მათი მოსწავლეები ჩართულები იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაცია JUNIOR EACHIVNENT GEORGIA-ს მიერ ორგანიზებულ კონკურსებში, რომლის ფარგლებშიც სკოლის მოსწავლეები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ფინეთში, აშშ-სა და ესტონეთში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში იგრძნობოდა თანამშრომლობითი გარემო და მაღალი ორგანიზაციული კულტურა, რაც გამოიხატებოდა ვიზიტის დროს თანამშრომლების დამოკიდებულებასა და ურთიერთმხარდაჭერაში.

თამარ ხატიაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, ყველა კომპონენტი შეფასებული იყო როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 3.4 შეფასებული იყო „მეტწილი შესაბამისობით“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში სკოლას ასახული ჰქონდა, რომ სარემონტო სამუშაოებს გეგმავდა სექტემბრიდან იანვრის ჩათვლით პერიოდში, დადაინტერესდა რატომ იყო მითითებული სასწავლო წლის ეს პერიოდი და ხომ არ შეუშლიდა ხელს სწავლების პროცესს.
სკოლის დირექტორმა, ირაკლი კუპატაძემ განმარტა, რომ ზაფხულის პერიოდში სკოლაში ტარდებოდა ერთიანი ეროვნული გამოცდები, რა დროსაც სკოლა ვერ მოახერხებდა აღნიშნული აქტივობების განხორციელებას, სწორედ ამიტომ იყო მითითებული სექტემბრიდან იანვრის ჩათვლით პერიოდი.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ ექსპერტებს კურიკულუმებთან მიმართებით გაცემული ჰქონდათ რჩევა, რომელიც გულისხმობდა საგნობრივი კურიკულუმის სასწავლო პროცესის თემებთან მიმართებით საკითხების დამუშავებას. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს და სთხოვა დაეზუსტებინათ აღნიშნული ჩანაწერის კონტექსტი.
ექსპერტმა მარიკა კირვალიძემ აღნიშნა, რომ რიგ შემთხვევებში სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩართო ან არ იყო სრულად შევსებული ან საჭიროებდა განვითარებას, თუმცა ვიზიტის პერიოდში სკოლის მიერ გადმოგზავნილი რედაქტირებული დოკუმენტაცია მიანიშნებდა იმაზე, რომ სკოლას ჰქონდა მზაობა პერიოდულად დაეხვეწა და სრულად განევითარებინა კურიკულუმები.
დაწყებითი საფეხურის საგნობრივმა ექსპერტმა, ეკატერინე კვირკველიამ აღნიშნა, რომ დაწყებით საფეხურზე კურიკულუმი დახვეწას საჭიროებდა მხოლოდ პირველ და მეორე კლასებში, სადაც ახალი გრიფირებული წიგნებით მიმდინარეობდა სწავლების პროცესი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენასსიპ - ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2634-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ-ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლას (ს/კ: 200087191) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2634-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი, მუხიანის დასახლება მე-3 მ/რ
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი, მუხიანის დასახლება მე-3 მ/რ
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი, მუხიანის დასახლება მე-3 მ/რ

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია); მეორე სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები).

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა.

3. **სსიპ- როსტომ აბრამიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სარეკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ

აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ელბაქიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - როსტომ აბრამიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სარეკის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 09 და 10 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ორ მისამართზე, კერძოდ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი სარეკში და სოფელ ბაჯითში. სკოლა სოფელ სარეკში მდებარე შენობაში ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ხოლო სოფელ ბაჯითში მდებარე სკოლაში მხოლოდ დაწყებით საფეხურს, ქართულ ენაზე. ასევე აღნიშნა, რომ სოფელ ბაჯითში არსებულ შენობაში სწავლობდა მხოლოდ ორი მოსწავლე.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 300 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის.
ნინო ელბაქიძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, „ მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასებული იყო „მეტწილი შესაბამისობით“. რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ორივე სტანდარტი შეფასდა „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა რომ მოსწავლეს სკოლაში ხვდებოდა კეთილგანწყობილი, მოტივირებული სასკოლო საზოგადოება. სკოლას ჰქონდა სამოქმედო გეგმა და ამ გეგმის შესაბამისად, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, ტარდებოდა სხვადასხვა პროექტი თუ შემოქმედებითი ღონისძიება, რაშიც სასკოლო საზოგადოებასთან ერთად თემიც აქტიურად იყო ჩართული; სკოლა ჩართული იყო, როგორც რაიონულ, ისე რესპუბლიკურ სასწავლო და შემოქმედებით, მოსწავლეზე ორიენტირებულ პროექტებში. ასევე წიგნიერების დონის ასამაღლებლად მუდმივად ხდებოდა სკოლის ბიბლიოთეკის შევსება მხატვრული ლიტერატურის თანამედროვე გამოცემებით, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო სკოლის ეკო-კლუბმა აქცია ,,მწვანე ყუთის“ ინიციატივით; სკოლის საზოგადოებისა და ადგილობრივი თემის მხარდაჭერით სკოლის მოსწავლეთა

თვითმმართველობა თავისი ინიციატივით გეგმავდა და ახორციელებსა რიგ პროექტებს და ღონისძიებებს: მარტოხელა მოხუცების დახმარება, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა დახმარება, თანამშრომლობა ,,წითელი ჯვრის“ საზოგადოებასთან (პროექტი: ..თბილი სადილი); ექსპერტმა აღნიშნა რომ სკოლის სპორტულ გუნდებს ჰქონდათ წარმატებები მუნიციპალიტეტის და რესპუბლიკის მასშტაბით გამართულ ღონისძიებებში; სკოლა თანამშრომლობდა მსოფლიო დონის საერთაშორისო აუდიტორიულ და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია ,,გრანთ თორთონი საქართველოსთან“, ,,ოფისი ღრუბლებში“.
პროფესიული ორიენტაციის მიზნით კი სკოლა აქტიურად თანამშრომლობდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებთან. ეს ორგანიზაციები იყო საჩხერის სამთო-მომზადების ეროვნული გვარდია, წყალმომარაგების სამსახური, კვერეთის საკალმახე მეურნეობა, სამედიცინო დაწესებულება და სხვ.
ექსპერტმა გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო მასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინ კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მიერ გამოცემულ ბრძანებებში გამოიკვეთა ხარვეზი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებთან დაკავშირბით, კერძოდ აქტის რეკვიზითებთან დაკავშირებით, კერძოდ არ იყო მოცემული ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის თარიღი.
სკოლის დირექტორმა, ლალი აბჟანდაძემ განაცხადა, რომ სკოლა შეისწავლიდა აღნიშნულ ფაქტს და გამოასწორებდა ხარვეზს.
საბჭოს წევრმა მანანა ჯინჭარაძემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, როგორ აპირებდა სკოლის განვითარებას მომავალში.
სკოლის დირექტორმა ლალი აბჟანდაძემ აღნიშნა, რომ ის აპირებდა სკოლის მეტად განვითარებას არაფორმალური განათლების მიმართულებით.
საბჭოს წევრმა პეტრე ბაბილუამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და ექსპერტებს სთხოვა დაეზუსტებინათ, როგორ ახდენდა სკოლა მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენას და მათ განვითარებაზე ზრუნვას.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ელბაქიძემ აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავდა მასწავლებელთა საჭიროებებს ურთიერთდასწრების მექანიზმით და სკოლა მათ სთავაზობდა სხვადასხვა სავალდებულო და არასავალდებულო ტრენინგებს.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ მათემატიკის საგნობრივ ექსპერტს სთხოვა მეტი დეტალი გაეზიარებინა საბჭოსთვის კურკულუმებთან დაკავშირებით.
მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, თეონა აბრამიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლა ახორციელებდა სწავლებას კომპლექსური დავალებებით, კურკულუმებში ფიქსირდებოდა გარკვეული ხარვეზები, რაზეც ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სწავლების პროცესებში და ახორციელებდნენ გარკვეულ პროექტებსაც, ასევე ჰქონდათ მზაობა რეკომენდაციების გათვალისწინებისა და განვითარებისთვის.
საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა ექსპერტისგან ითხოვა დაზუსტება ჰქონდა თუ არა სკოლას შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, რაზეც ექსპერტმა ნინო ელბაქიძემ აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა დასკვნა, თუმცა ის გეგმავდა მოპოვებას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- როსტომ აბრამიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სარეკის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ- როსტომ აბრამიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სარეკის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. შესაბამისად მოსწავლეთა უსაფრთხოების თვალსაზრისით, არ მიიჩნია მიზანშეწონილად შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ- როსტომ აბრამიშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სარეკის საჯარო სკოლას (ს/კ: 239404042) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი სარეკი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი სარეკი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი სოფელი სარეკი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;

მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 1; მეორე სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები); სტანდარტი 3; სტანდარტი 4.

4. სსიპ - ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მანანა ალიბეგაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 და 26 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ვარდისუბნის ქ. N8-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 2400 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 2400 მოსწავლისთვის.
მანანა ალიბეგაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, „ მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტები 3.4 და 3.5 შეფასებული იყო „მეტწილი შესაბამისობით“. რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტს ექსპერტთა ჯგუფის მიერ ორივე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის მიერ გადმოგზავნილ პედაგოგიური საბჭოს ოქმში, სადაც განიხილებოდა მოსწავლის კლასიდან კლასში გადასვლის საკითხი დარღვეული იყო ეროვნული სასწავლო გეგმის 35-ე მუხლი და პერსონალური ინფორმაციის დაცვის საკითხი. მანმიმართა სკოლის დირექტორს და სთხოვა დაეზუსტებინა რატომ არ იყო აქამდე შეცვლილი ეს პრაქტიკა და აპირებდნენ თუ არა მომავალში აღნიშნულის გათვალისწინებას .

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ლიანა ფუტკარაძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად სკოლის მიერ მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა, რითიც იღებდნენ ნებართვას მოსწავლეთა პირადი ინფორმაციისა და ფოტო-მასალის საჯაროდ გამოყენების შესახებ, სკოლა აუცილებელად გადახედავდა და გაითვალისიწინებდა ამ საკითხს.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ კურიკულუმები რიგ შემთხვევებში იყო სტანდარტის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისი, თუმცა გარკვეულ კლასებში საჭიროებდა განვითარებას. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა აეხსნა რა მექანიზმები ჰქონდა სკოლას კურიკულუმების სრულყოფისთვის.

სკოლის დირექტორის მოვალების შემსრულებელმა, ლიანა ფიტკარაძემ აღნიშნა, რომ მათ უკვე შემუშავებული ჰქონდათ სრულყოფილი კურიკულუმები. მისი განმარტებით სკოლა მუდმივად მუშაობდა , ნერგავდა და ახდენდა კურიკულუმების რევიზიას.

სკოლის ხარისხის განვითარების ჯგუფის წევრმა, ნონა გორგილაძემ აღნიშნა, რომ კურიკულუმების პირველად ვერსიებში, რომლებიც გადმოგზვანილი იყო ცენტრში, ფიქსირდებოდა გარკვეული ხარვეზები, თუმცა სასწავლო წლის დაწყებამდე ყველა ხარვეზი გადაიხედა და გამოსწორდა, ასევე შეივსო და გამრავალფეროვანდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი რესურსებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ე ექსპერტებთან

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლას (ს/კ: 200007848) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2400-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

		საფეხური	პროგრამის განხორციელების ენა	(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ.თბილისის ვარდისუბნის ქ.N8
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ.თბილისის ვარდისუბნის ქ.N8
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ.თბილისის ვარდისუბნის ქ.N8

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებების, ასევე ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

5. სსიპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თინათინ ალავიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 10 და 11 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩუნჩხაში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 45 მოსწავლე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 40 მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“; სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“; სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, ხოლო სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით კომპონენტები 1.1, 1.2, 3.4, 3.6, 4.1 და 4.2 „მეტწილად შეესაბამებოდა“ სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ექსპერტმა, თინათინ ალავიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა, რომელ წელს აშენდა სკოლის შენობა. ექსპერტმა თინათინ ალავიძემ აღნიშნა, რომ სკოლის შენობა 2021 წელს შევიდა ექსპლუატაციაში.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 45 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ-ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლას (ს/კ : 223364357) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 45 - ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩუნჩხა

2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩუნჩხა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩუნჩხა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 1; მეორე სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები); სტანდარტი 3; სტანდარტი 4.

6. სსიპ - პროფესორ ავთანდილ პოპიაშვილის სახელობის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, პაატა ჩორგოლაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-პროფესორ ავთანდილ პოპიაშვილის სახელობის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 23 და 24 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ გამარჯვებაში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 130 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი), სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით კომპონენტები 1.2 და 3.4 „მეტწილად“ შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ექსპერტმა, პაატა ჩორგოლაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები,

რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა ექსპერტს მიმართა კითხვით, რომელ წელს და ვის მიერ იყო სკოლა რეაბილიტირებული. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა რეაბილიტირებული იყო 2019 წელს, მილენიუმის პროექტის ფარგლებში. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო სულიაშვილმააღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო შენობა- ნაგებობის მდგარობის დასკვნა. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას კომუნიკაცია ჰქონდა საქართველოს განათლების მეცნიერებისა და სამინისტროსთან. მიღებული ინფორმაციით, აღნიშნული დოკუმენტაცია იყო არქივში და სკოლა უმოკლეს ვადებში ელოდებოდა მის მიღებას. სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ მოცემული დროისთვის სკოლას დამტკიცებული ჰქონდა საგანგებო სიტუაციების გეგმა. ასევე გაკეთებული იყო სახანძრო უსაფრთხოების ხარჯთაღრიცხვა და მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-პროფესორ ავთანდილ პოპიაშვილის სახელობის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 130 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი-1

საბჭოს ერთ-ერთი წევრის განმარტებით, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და სახანძრო უსაფრთხოების გეგმა, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ-პროფესორ ავთანდილ პოპიაშვილის სახელობის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლას (ს/კ : 228540442) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 130 - ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

				(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი გამარჯვება
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი გამარჯვება
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი გამარჯვება

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა.

7. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლია ჯალაღონიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 21 და 22 ივლისა. სკოლა მდებარეობდა გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზერტში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ექსპერტის განცხადებით სკოლის მფლობელობაში შედიოდა სოფელ კვარხითში მდებარე შენობაც, სადაც ხორციელდებოდა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 500 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია) შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“; სტანდარტი2 (სასკოლო კურიკულუმი) შეფასდა, როგორც

„შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.; სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებ, ხოლო სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის განცხადებით 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტები „მეტწილად“ შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ექსპერტმა, ლია ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ ყურადღება გაამახვილა მოსწავლეთა ტრანსპორტირების საკითხზე და სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, როგორ გეგმავდა სკოლა ტრანსპორტირების საკითხის მოგვარებას. სკოლის დირექტორის ჯუმბერ ტერუნაშვილისგანცხადებით მოცემული დროისთვის სკოლის 24 მოსწავლეს ემსახურებოდა ტრანსპორტი. დირექტორმა აღნიშნა, რომ დანარჩენი მოსწავლეებისთვის, რომლებსაც ესაჭიროებოდა ტრანსპორტი, სკოლას გაგზავნილი ჰქონდა წერილი შესაბამის სამსახურთან, საიდანაც ელოდებოდნენ შესაბამის რეაგირებას. სკოლის დირექტორის განცხადებით, აღნიშნული საკითხი უმოკლეს ვადაში იქნებოდა აღმოფხვრილი, იგეგმებოდა ორი მარშრუტი, რომელიც უზრუნველყოფდა მოსწავლეთა ტრანსპორტირებას. გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ნანა ტერმაკოზაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლა ჩართული იყო ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა V- XII კლასის მოსწავლეების ტრანსპორტირება. მოცემული დროისთვის სკოლა გეგმავდა მოსწავლეთა ახალი სიის გადაგზავნას, რის შემდეგაც მოხდებოდა ყველა იმ მოსწავლის ტრანსპორტით უზრუნველყოფა, რომელიც აღნიშნულ მომსახურებას საჭიროებდა.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიას განცხადებით, საბჭოს ერთ-ერთი წევრის განმარტებით, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ-გორის

მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლას (ს/კ : 218047227) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500- ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზერტი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზერტი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზერტი

საბჭომ 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2025 წლის ნოემბრამდე. კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებების, ასევე ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

8. სსიპ - ქალაქ ჭიათურის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ჭიათურის N1 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 16 და 17 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ჭიათურაში, ნინოშვილის N36. სკოლა ახორციელებდა

ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1000 მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი), სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". ექსპერტის განცხადებით კომპონენტი 3.4 „მეტწილად" შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში არსებული ორივე შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული, თუმცა ზოგიერთ ოთახში შეინიშნებოდა ნესტი. ექსპერტის განცხადებით სკოლის პირველ კორპუსში სარემონტო სამუშაოები განხორციელებული იყო ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ფარგლებში, ხოლო მეორე კორპუსის რეაბილიტაცია მოხდა სკოლის დირექტორის ინიციატივით და ადგილობრივ თვითმართველობასთან თანამშრომლობით.

ექსპერტის ცირა ნიკოლაშვილის განცხადებით სკოლა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა არაფორმალური განათლების გაძლიერებას. ფუნქციონირებდა სხვადასხვა კლუბები და ხორციელდებოდა პროექტები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ერთ-ერთ პროფესიულ სასწავლებელთან გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა შეესწავლათ გრაფიკული დიზაინი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა გეგმავდა ამ კუთხით გაძლიერებას და ოთხი პროფესიული კურსის დამატებას.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ ყურადღება გაამახვილა ექსპერტის მიერ გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებზე. დავით მალაზონია დაინტერესდა სკოლაში არსებული წიგნადი ფონდით და სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, არსებული პრობლემის (ნესტის) თავიდან აცილების მიზნით ხორციელდებოდა თუ არა სკოლაში სარემონტო სამუშაოები.

სკოლის დირექტორმა, გოჩა შუბითიძემაღნიშნა, რომ დაზიანებულ ოთახებში სასწავლო პროცესები არ მიმდინარეობდა. სკოლის შენობის პირველ სართულზე ყოველწლიურად ტარდებოდა კოსმეტიკური სახის სარემონტო სამუშაოები.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, ნესტიანდებოდა თუ არა მეორე შენობის კედლები, სადაც რემონტის დროს სკოლამ განათავსა წიგნები.

სკოლის დირექტორმა გოჩა შუბითიძემ აღნიშნა, რომ სკოლაში წიგნადი ფონდი მწირი იყო, წიგნების ძირითადი ნაწილი, რომელიც ნესტისგან დაზიანდა, ამჟამად იყო ჩამოსაწერი. მან ასევე განაცხადა, რომ სკოლა უკვე გეგმავდა სხვადასხვა ღონისძიებებს და უკვე ჩართული იყო ერთ-ერთ პროექტში, რომლის ფარგლებშიც სკოლას უნდა მიეღო წიგნები.

სკოლის დირექტორმა ყურადღება გაამახვილა ექსპერტის მიერ ხაზგასმულ საკითხზე, კერძოდ სკოლის მიერ იჯარით გაცემული ფართის სასწავლო სივრცისგან იზოლირებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ აღნიშნული ფართი დამოუკიდებელია სასწავლო სივრცისგან, იმდენად, რამდენადაც ეზოს ჭიშკარი სწორედ ამ ფართის წინ მდებარეობს და აღნიშნულ ფართზე გადაადგილება ხელს არ უშლიდა საგანმანათლებლო პროცესების განხორციელებას. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა სკოლას უკვე შეთანხმებული ჰქონდა შესაბამის სამსახურთან, ხოლო შენობა-ნაგებობის მდგრადობის დასკვნასთან დაკავშირებით სკოლას დაწყებული ჰქონდა სამუშაოები, კერძოდ ჰქონდა

მიწერილობა შესაბამის სამსახურთან და მიმდინარე წლის ნოემბერში უკვე ელოდებოდნენ ექსპერტს.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, რატომ უშლიდა ხელს სკოლაში განხორციელებული სარემონტო სამუშაოები შენობა-ნაგებობის დასკვნის მოპოვებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებას.
სკოლის დირექტორმა გოჩა შუბითიძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 4 აპრილს სკოლის შენობის ნაწილი დაზიანდა, კერძოდ ჩამოიშალა სკოლის შენობის სახურავის ნაწილი, რის გამოც სკოლამ გადაწყვიტა მოეგვარებინა აღნიშნული პრობლემა. მოხდა შესწავლა იმისა თუ, რამდენად უსაფრთხო იყო შენობის სახურავის დანარჩენი ნაწილი. სკოლის დირექტორის განცხადებით აღნიშნულის შესწავლის შემდეგ გადაწყდა სახურავის მთლიანად შეცვლა.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, ხდებოდა თუ არა სკოლაში მიმდებარე პერიმეტრის სრულად მეთვალყურეობა ვიდეო კამერების დახმარებით. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ კამერებით ხდებოდა მხოლოდ სკოლის წინა პერიმეტრის მეთვალყურეობა.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა ყურადღება გაამახვილა ექსპერტების მიერ გაცემულ რჩევებზე და სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით იგეგმებოდა თუ არა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანა. სკოლის დირექტორმა გოჩა შუბითიძემ განაცხადა, რომ ბიუჯეტის გათვალისწინებით მოცემული დროისთვის სკოლას არ ქონდა აღნიშნული საკითხის მოგვარების შესაძლებლობა.
საბჭოს წევრმა მორის დანდურიშვილმა ექსპერტებს მიმართა კითხვით, ვიზიტის დროს, ხომ არ ჰქონდათ ნანახი მოსწავლეთა ისეთი პირადი საქმეები, სადაც კონკრეტული საფეხურის დასრულების შემდეგ მათიწარმატების შესახებ იყო ინფორმაცია მოცემული.
ექსპერტმა ცირა ნიკოლაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში ვიზიტის დროს ექსპერტების მხრიდან მოხდა პირადი საქმეების შესწავლა შერჩევითობის პრინციპით. ექსპერტის განცხადებით მათ მიერ შესწავლილ პირად საქმეებში არ მოიპოვებოდა აღნიშნული დოკუმენტი. სკოლის დირექტორმა გოჩა შუბითიძემ აღნიშნა, რომ სკოლაში მოიპოვებოდა რამდენიმე პირადი საქმე, სადაც აღნიშნული ინფორმაცია იყო დაფიქსირებული.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაზე და სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, როგორ აპირებდა ექსპერტებისა და საბჭოს წევრების რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინებას.
სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს და საბჭოს მსვლელობის დროს მიღებული რჩევები და რეკომენდაციები სკოლისთვის მნიშვნელოვანი იყო და აპირებდა მათ გათვალისწინებას სამომავლო საქმიანობაში.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ჭიათურის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1000 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთი წევრის განმარტებით, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ჭიათურის N1 საჯარო სკოლას (ს/კ : 215606271) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000 - ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ჭიათურა ნინოშვილის ქ. N36
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ჭიათურა ნინოშვილის ქ. N36
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ჭიათურა ნინოშვილის ქ. N36

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ: შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნისა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის წამროდგენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 21:45 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა